შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი 03 სექტემბერი 2025

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #99-25

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.19 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით), „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლისა და „დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ აქვთ ვალდებულება დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 28 თებერვლის N22 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განისაზღვროს „სეიფთი ქორფის“ წარმომადგენელი - ანამარია ბაგალიშვილი
2. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა (ციცინო ხითარიშვილი).
3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
4. დაევალოს ანამარია ბაგალიშვილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მისი ვინაობისა და საკონტაქტო ინფორმაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის გაცნობა.
5. ბრძანება ძალაშია ოფიციალური წესით გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი აკაკი ჭელიძე

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი | 204426834
0186, კ. ყუთათელაძის ქ.N3, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2422242

info@sabauni.edu.ge
www.sabauni.edu.ge